საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი დ. ა. /სიითი №..../

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №139/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ჟ.-ს მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ჟ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I. აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 01 ოქტომბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა დ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ჟ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 26 ოქტომბერს საჩივრის ავტორმა საპროცესო სხდომაზე დამატებით განმარტა თავისი პოზიცია.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე, ფულადი ვალდებულების გადახდის თაობაზე, მოცემული დავის ფარგლებში ადვოკატები დ. ა. და გ. ჟ. არიან პროცესის მხარეთა წარმომადგენლები.

1.3 აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნული იყო სასამართლო სხდომა 2018 წლის 25 მაისს 14:00 საათზე. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 25 მაისს 11:00 საათზე თბილისის

საქალაქო სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით წარადგინა განცხადება სხდომის გადადების თაობაზე, რომელშიც მიუთითა, რომ 2018 წლის 25 მაისს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განხილვაში მყოფ საქმეზე ელოდებოდა განაჩენის გამოცხადებას, რის საფუძველზეც შესაძლოა მას სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვროდა თავისუფლების აღკვეთა.

1.4 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განხილვაში არსებულ საქმეზე სასამართლო სხდომა დაიწყო 2018 წლის 25 მაისს 11:35 საათზე, გამოცხადდა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი და დაიხურა 11:40 საათზე, განაჩენით ადვოკატი დ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელად განესაზღვრა მხოლოდ ჯარიმა. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ავტორს სასჯელად განესაზღვრა მხოლოდ ფულადი ჯარიმა, მან ვერ შეძლო 2018 წლის 25 მაისს 14:00 საათზე დანიშნულ სხდომაზე მისვლა.

1.5 საჩივირს ავტორმა 2018 წლის 26 ოქტომბრის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ მოსამართლემ განაჩენის გამოცხადებაზე გადაწყვეტილება მიიღო 2018 წლის 24 მაისს დაახლოებით 20:00 საათზე, რის შემდგომაც დ. ა.-მ ფიზიკურად ვერ შეძლო სასამართლოსთან დაკავშირება.

1.6 დ. ა.-მ აღნიშნა, რომ მას დაუკავშირდა მოსამართლე ქ. მ.-ის თანაშემწე, რომელსაც აუხსნა და განუმარტა ობიექტური მიზეზი თუ რატომ ვერ ესწრებოდა სასამართლო სხდომას. აგრეთვე დ. ა. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი იმყოფებოდა მძიმე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ, რასაც თან ახლდა ემოციური ფონი და იგი სრულყოფილად მაინც ვერ უზრუნველყოფდა კლიენტის ინტერესების დაცვას სასამართლო სხდომის დარბაზში გამოცხადება რომც შესძლებოდა და სხდომის გადადების შუამდგომლობა სწორედ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით დააყენა.

1.7 გამომდინარე იქედან რომ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადნენ მოსარჩელე მხარე და მისი წარმომადგენელი, მოპასუხის წარმომადგენელმა ადვოკატმა გ. ჟ.-მა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყევტილების გამოტანისა და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ქ. მ.-მა გაიზიარა და დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის გ. ჟ.-ის შუამდგომლობა და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

1.8 ადვოკატის შეფასებით, ადვოკატ გ. ჟ.-ს მიერ აღნიშნული შუამდგომლობის დაყენება წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის უხეშ დარღვევას, მით უმეტეს, რომ მოსამართლის მიერ პროცესზე გაკეთებული განცხადების შედეგად, მისთვის ცნობილი იყო დ. ა.-ის პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზი.

2. ადვოკატის პოზიცია:

ადვოკატმა გ. ჟ.-მა ეთიკის კომისიაში 2018 წლის 17 ოქტომბერს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ მას არ განუხორციელებია ისეთი ქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ეთიკის კოდექსის რომელიმე პირობასთან. გ. ჟ. აღნიშნავს, რომ მან გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და მოითხოვა დაუსწრებელი

გადაწყვეტილების გამოტანა, რაც თავისთავად არ წარმოადგენს პროფესიული ეთიკის კოდექსის პირობებისა და მოთხოვნების დარღვევას.

II. სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. ჟ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

3.2 ადვოკატმა დ. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 01 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წლის 25 მაისს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ჟ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: 2018 წლის 25 მაისს პროცესზე მისი გამოუცხადებლობით ისარგებლა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა გ. ჟ.-მა და სასამართლოს მიმართა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით მაშინ, როდესაც მოსამართლის მიერ პროცესზე გაკეთებული განცხადების შედეგად მისთვის ცნობილი იყო კოლეგის, ადვოკატ დ. ა.-ის პროცესზე გამოუცხადებლობის გამომწვევი გარემოების არსებობა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ გ. ჟ.-ს ქცევაზე შემდეგი მუხლების ფარგლებში იმსჯელა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივისცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.“

5.3 საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კოლეგიალობის პრინციპის ფარგლებში, რომლის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს კოლეგა ადვოკატის პატივისცემა. პროფესიის არსიდან გამომდინარე, კოლეგებს შორის ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ნდობასა და ურთიერთთანამშრომლობას, თუმცა ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ გამორიცხულია კოლეგიალობის პრინციპის დარღვევაზე აპელირება, მაშინ, როცა ადვოკატი მოქმედებს კანონით მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილებების ფარგლებში, რაც მიმართულია და მიზნად ისახავს კლიენტის ინტერესის დაცვას. მოწინააღმდეგე ადვოკატის პოზიციის გაზიარებისას თუ მხარდაჭერისას ადვოკატმა აქცენტი უნდა გააკეთოს მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესზე. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ადვოკატს აღჭურავს უფლებამოსილებით „კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

5.4 განსახილველ შემთხვევაში მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ ადვოკატმა დ. ა.-მ წარმომადგენლობის ფარგლებში ვერ შეძლო თბილისის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის 25 მაისს 14:00 საათზე ჩანიშნულ სხდომაზე გამოცხადება, ვინაიდან იმავე დღეს ცხადდებოდა ადვოკატის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენი. ადვოკატმა დ. ა.-მ 2018 წლის 25 მაისს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით მიმართა განცხადებით სხდომის გადადების თაობაზე, რომელშიც მიუთითა გამოუცხადებლობის მიზეზი - განაჩენის გამოცხადება, რის საფუძველზეც შესაძლოა მას სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვროდა თავისუფლების აღკვეთა. გამომდინარე იქედან რომ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადნენ მოსარჩელე მხარე და მისი წარმომადგენელი, მოპასუხის წარმომადგენელმა ადვოკატმა გ. ჟ.-მა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ქ. მ.-მა გაიზიარა და დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის გ. ჟ.-ის შუამდგომლობა და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ადვოკატ დ. ა.-ის განმარტებით, ადვოკატ გ. ჟ.-ს მიერ აღნიშნული შუამდგომლობის დაყენება წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის უხეშ დარღვევას, ვინაიდან მისთვის ცნობილი იყო დ. ა.-ის პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზი. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, ის მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

5.5 ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ გ. ჟ.-ს პროფესიული ქცევა მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესის დაცვას, ადვოკატმა ისარგებლა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რაც იმ ეტაპზე შეესაბამებოდა კლიენტის ინტერესს და რისი ეთიკური ვალდებულებაც ეკისრებოდა ადვოკატს: კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო ადვოკატმა გ. ჟ.-მა გამოიყენა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო უფლებამოსილება და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, ხსენებული შუამდგომლობა სასამართლომ დააკმაყოფილა.

5.6 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ გ. ჟ.-ს არ გამოუვლენია ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ არაკოლეგიალური დამოკიდებულება და მისი ქმედება შეესაბამება კოლეგიალობის პრინციპით გათვალისწინებულ მოთხოვნას - ადვოკატის მიერ კოლეგა ადვოკატის პატივისცემის პრინციპს. ადვოკატ გ. ჟ.-ს საპროცესო ქმედება ასევე ექცევა ეთიკის კოდექის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის მოქმედების ფარგლებში, რომელიც ერთგვარ „ჩარჩოს“ წარმოადგენს ამავე მუხლის პირველი წინადადებისთვის, კერძოდ ,,პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“ შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. ჟ.-ს ქმედებებში არ იკვეთება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის ნიშნები და მის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.7 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 33-ე მუხლით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით და გადაწყვიტა:

III. სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №139/18 ადვოკატ გ. ჟ.-ს მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/